

მასწავლებლის პროფესიული განვითარება სკოლის ბაზაზე

ნინო ბეგლარაშვილი

სსიპ ქალაქ თბილისის #82 საჯარო სკოლის პედაგოგი

რეზიუმე

სწავლება-სწავლის ხარისხის გაუმჯობესების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული ზრდაა. სკოლის ბაზაზე ამის უზრუნველსაყოფად, სხვადასხვა ეფექტურ საშუალებას შორის, შეგვიძლია დავასახელოთ მასწავლებლების მიერ საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა, გაკვეთილების ერთად დაგეგმვა და ურთიერთდასწრება. წინამდებარე ნაშრომი სწორედ ამ მეთოდების ეფექტურად გამოყენებას ეხება.

საკვანძო სიტყვები: პროფესიული განვითარება, პრაქტიკული კვლევა, მასწავლებელი

სწავლება-სწავლის ხარისხზე მოქმედ სხვადასხვა ფაქტორს შორის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია მასწავლებლის კომპეტენცია, რომელსაც მუდმივად ესაჭიროება ამაღლება და თანამედროვე მიდგომებთან ადაპტირება. სწორედ ამიტომ გვესმის ხშირად საუბარი პედაგოგთა პროფესიული განვითარების აუცილებლობაზე. არ აქვს მნიშვნელობა, მასწავლებელი დამწყებია, თუ ხანგრძლივი გამოცდილების მქონე - ეტაპობრივად ორივე მათგანს სჭირდება ახალი ცოდნისა თუ უნარების შეძენა.

ტერმინი „პროფესიული განვითარება“ გულისხმობს იმ აქტივობების ერთობლიობას, რომელთა განხორციელებაც პედაგოგს პროფესიულ ზრდასა და კარიერული პერსპექტივების გაფართოებაში ეხმარება. ამ პროცესს შეიძლება ჰქონდეს როგორც ფორმალური (საუნივერსიტეტო განათლება, საგანმანათლებლო კურსები), ასევე არაფორმალური სახეც, რაც კოლეგებთან თანამშრომლობასა და გამოცდილების გაზიარებაში გამოიხატება. შესაბამისად, მასწავლებელს შეუძლია საკუთარი პროფესიული ზრდის დაგეგმვისას თავად შეარჩიოს სასურველი ფორმა მრავალი ალტერნატივიდან.

საქართველოში ყველაზე გავრცელებული პროფესიული ზრდის ფორმა ტრენინგ-კურსების გავლა და სერტიფიცირების გამოცდის ჩაბარებაა. თუმცა, ვფიქრობ, გაცილებით უფრო დიდი მნიშვნელობა, საკუთარი საჭიროებების გათვალისწინებით, სკოლის ბაზაზე არსებული საშუალებების გამოყენებას უნდა ენიჭებოდეს, რადგან ეს უშუალოდ უკავშირდება სწავლება-სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას და პირდაპირ შედეგზეა ორიენტირებული.

სკოლის ბაზაზე მასწავლებლისთვის პროფესიული განვითარების ერთ-ერთი ხემისაწვდომი საშუალებაა საკუთარი პრაქტიკის კვლევა და მიღებულ შედეგებზე

დაყრდნობით რაციონალური ინტერვენციების დაგეგმვა-განხორციელება. ეს პედაგოგს საშუალებას აძლევს, სასწავლო პროცესში წამოჭრილი პრობლემები რეფლექსიისა და ანალიზის გზით გადაჭრას. სასურველია, ამ საკითხზე მასწავლებლებმა ერთობლივად იმუშაონ, რათა მრავალმხრივი ხედვის გათვალისწინებით მიღებული გადაწყვეტილებები უფრო მეტად იყოს შედეგზე ორიენტირებული.

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა გამოყენებითი კვლევების რიგს განეკუთვნება. მას ატარებს მკვლევარი-მასწავლებელი სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისა და როგორც უკვე ითქვა, საკუთარი პროფესიული ზრდის მიზნით.

„ეს ცოდნის მიღების სრულიად ახალ ფორმას, სადაც ურთიერთობა პრაქტიკასა და თეორიას შორის, ასევე, კვლევასა და მოქმედებას შორის გაცილებით უფრო ორგანულია და დაახლოებული, ვიდრე ეს ტრადიციულ საზოგადოებრივ მეცნიერებაში გვხვდება. პრაქტიკული კვლევებისას გამოყენებულ მეთოდებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ექსპერიმენტის ჩატარებას, მონაწილეობასა და დიალოგის მეშვეობით პრობლემების გაგებასა და გადაჭრას ანიჭებენ.“(Karlsen 2001, 1).

პრაქტიკული კვლევა შემდეგი ძირითადი ეტაპებისაგან შედგება:

- საკვლევი საკითხის შერჩევა
- კვლევის მიზნის განსაზღვრა
- საკვლევი საკითხის შესახებ არსებული ლიტერატურის შესწავლა
- კვლევის მეთოდების შერჩევა
- მონაცემთა შეგროვება
- მონაცემთა ანალიზი
- ინტერვენციების დაგეგმვა
- ინტერვენციების განხორციელება
- შედეგების ანალიზი
- რეკომენდაციების შემუშავება

პრაქტიკული კვლევის თემად შეიძლება იქცეს ის ნებისმიერი საკითხი, რომელიც პრობლემურად ესახება პედაგოგს მუშაობის პროცესში. მაგალითად: მოსწავლეთა მოტივაციის ნაკლებობა, მშობელთა ჩართულობის დეფიციტი, წიგნიერების დაბალი დონე, კლასის მართვის პრობლემები და ა.შ. სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით მიღებული ინფორმაციის გაანალიზების შედეგად გამოვლიდნება კონკრეტული პრობლემის გამომწვევი მიზეზები, რომელთა აღმოფხვრაც დაგეგმილი ინტერვენციების საშუალებით უნდა მოხდეს. თუკი ცვლილებების განხორციელების შემდეგ მიღებული მონაცემები გაუმჯობესებული იქნება, ე.ი. აღნიშნული სტრატეგია პედაგოგმა სწორად შეარჩია. ასე მასწავლებელი თავად პოულობს პრობლემების გადაჭრის გზებს და ყოველი დაბრკოლების გადალახვა მისი პიროვნული და პროფესიული ზრის წინაპირობა ხდება.

პროფესიული განვითარების არანაკლებ ეფექტური საშუალებაა მსოფლიო პრაქტიკაში აპრობირებული მიდგომა - პედაგოგების მიერ გაკვეთილის ერთობლივი დაგეგმვა და შესწავლა. ეს მეთოდი შემდეგი ეტაპებისაგან შედგება:

1. მასწავლებლები საკუთარი გამოცდილებისა და კომპეტენციების გამოყენებით გეგმავენ კონკრეტულ გაკვეთილს;
2. ერთ-ერთი პედაგოგი ატარებს დაგეგმილ გაკვეთილს პრაქტიკულად, ხოლო მეორე ესწრება საგაკვეთილო პროცესს და აკვირდება შერჩეული სტრატეგია-აქტივობების ადეკვატურობას;
3. გაკვეთილის დასრულების შემდეგ მასწავლებლები განიხილავენ საგაკვეთილო პროცესს, მსჯელობენ მის ძლიერ და სუსტ მხარეებზე, თანხმდებიან ხარვეზების გამოსწორების გზებზე და შეაქვთ შესაბამისი ცვლილებები გაკვეთილის გეგმაში;
4. განახლებული გეგმით უკვე მეორე პედაგოგი ატარებს გაკვეთილს, ხოლო მეორე დამსწრის როლშია და აკვირდება პროცესს;
5. პედაგოგები კვლავ აანალიზებენ საგაკვეთილო პროცესს და მსჯელობენ ერთობლივად.

სხვა მასწავლებლებთან ერთად მუშაობა და იდეების გაცვლა პროფესიონალიზმის ზრდის საუკეთესო გზაა. აღნიშნული მეთოდის გამოყენებით პედაგოგები იზიარებენ კოლეგის გამოცდილებას, აანალიზებენ სამუშაო პროცესს და საბოლოო ჯამში ახალი ცოდნის კონსტრუირება ხდება. რაც მთავარია, ამ მიდგომის შედეგად სკოლის ბაზაზე იქმნება ხარისხობრივად უფრო სრულყოფილი და პრაქტიკაში გამოცდილი რესურსი საგაკვეთილო გეგმების სახით, რომელთა გამოყენებაც უკვე სხვა მასწავლებლებსაც შეუძლიათ.

კოლეგებთან კომუნიკაცია დიდ გავლენას ახდენს მასწავლებლის პროფესიულ ცხოვრებაზე, რადგან ამ დროს ხდება პროფესიული ინფორმაციის გაცვლა - გამოცვლა. სასწავლო პროცესის დახვეწისა და მასწავლებელთა პროფესიული ზრდისთვის მნიშვნელოვანია, რომ პედაგოგს შეეძლოს კონსტრუქციული კრიტიკის მოსმენა, მიღება და გათვალისწინება. ამ მიზნით დასავლურ საგანმანათლებლო სივრცეში დაინერგა მასწავლებელთა ურთიერთანამშრომლობის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ეფექტური სტრატეგია ე. წ. "კრიტიკული მეგობრების" ინსტიტუტი, რომელიც ითვალისწინებს სასწავლო პროცესში მასწავლებელთა ურთიერთდაკვირვებას. ეს მიდგომა ერთ-ერთი ეფექტიანი და ხემისაწვდომი ფორმაა სკოლის ბაზაზე პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯობესებისათვის.

განათლების სპეციალისტები ურთიერთდაკვირვების რამდენიმე ფორმას გამოყოფენ, თუმცა ყველა მათგანისათვის უცვლელია შემდეგი ეტაპები:

- **დაკვირვების წინა შეხვედრა** - მასწავლებელი, რომლის გაკვეთილზეც ხდება დასწრება, აცნობს კოლეგას გაკვეთილის გეგმას; უხსნის, რა სახის დახმარებას ელის მისგან, რის შემდეგაც კოლეგები ერთობლივად შეიმუშავენ შეფასების კრიტერიუმებს.
- **გაკვეთილზე დასწრება** - დაკვირვება გაკვეთილის მიმდინარეობის პროცესზე, ან ცალკეულ დეტალებზე და შედეგების დეტალური აღნუსხვა.
- **გაკვეთილის შემდგომი შეხვედრა** - დაკვირვების შედეგების ერთობლივი ანალიზი, შეფასება და გაკვეთილის გეგმაში კორექტირების შეტანა.

აღნიშნული მეთოდი პედაგოგს ეხმარება იმაში, რომ გარედან შეხედოს თავის სამუშაო პროცესს და გაანალიზოს პრობლემები. მეორე მხრივ, დამსწრე პედაგოგის მიზანიც პროფესიული ზრდა უნდა იყოს და არა კოლეგის კრიტიკა. კონკრეტულ გაკვეთილზე მან პედაგოგის ძლიერი მხარეებიც უნდა აღმოაჩინოს, რაც შემდეგ, შესაძლოა, თავადაც გამოიყენოს საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკაში.

ამრიგად, უწყვეტი პროფესიული განვითარება გულისხმობს არა მარტო სკოლის გარეთ არსებული რესურსებით მიღებულ ცოდნასა და უნარებს, არამედ, პირველ რიგში, პედაგოგის მუდმივ ძიებაში ყოფნას, საკუთარი ყოველდღიური სამუშაო პროცესის გაანალიზებას და რეფლექსიის საფუძველზე გარკვეული ცვლილებების შეტანას პედაგოგიურ საქმიანობაში. სწორედ ამიტომ პროფესიულ განვითარებას ყველაზე მეტად სკოლის ბაზაზე აქვს დადებითი ეფექტი. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ სკოლის გარეთ არსებული პროფესიული განვითარების შესაძლებლობებზე პედაგოგმა უარი უნდა თქვას. პირიქით, რაც უფრო მრავალფეროვანი იქნება პროფესიული ზრდის სტრატეგიები, მით უფრო სრულყოფილი გახდება მასწავლებელთა პედაგოგიური პრაქტიკაც.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Karlsen Jan Irgens. "Action Research as a Method: Reflections from a Program for Developing Methods and Competence", Handbook of Action Research: Participative Inquiry and Practice, Sage Publications. London, 2001;
2. Wilms W.W. Altering the Structure and Culture of American Public Schools Phi Delta Kappan. v84 n8 p606-15 Apr 2003.